ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15/01/20

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის დავით შერაზადიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ბოლნისის ავტოტექნიკური ინსპექტირების ცენტრი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერიან დევნოზაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის საფუძველზე („სახემწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის ზ) ქვეპუნქტი) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 (თორმეტი) ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო** პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება. (CPV50112200); (ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხა -- დანართი N1)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 720 (შვიდას ოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3.3. ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ღირებულება - 60 ლარი.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწერილი მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 სამუშაო დღის დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი მამიაშვილი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2020 წლის 20 დეკემბრამდე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
- მიმწოდებელს ინსპექტირებისთვის წარუდგინოს სუფთა და მოწესრიგებული ავტოსატრანსპორტო საშუალება;

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

- გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.
- მიაწოდოს ინფორმაცია შემსყიდველს მომსახურების მიმდინარეობის შესახებ;
- შემსყიდველის გარეშე არ გადასცეს მესამე პირს გასაწევი მომსახურება;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.4. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963
სს „ლიბერთი ბანკი“-ს ბოლნისის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE47BS0000000043336395

Bolnisi Municipality
Digitally signed by Bolnisi Municipality
Date: 2020.01.21 11:19:25 +04'00'

მუნიციპალიტეტის მერი:
დავით შერაზადიშვილი

„მიმწოდებელი“
შპს „ბოლნისის ავტოტექნიკური ინსპექტირების ცენტრი“
ბოლნისის რ-ნი, სოფელი რატევანი
ს/კ 425363698
სს „თიბისი ბანკი“
ბ/კ TBCBGE22
GE97TB7882036020100003

Valerian Devnozashvili
Подписано цифровой подписью: Valerian Devnozashvili
Дата: 2020.01.20 17:38:51 +04'00'

დირექტორი:
ვალერიან დევნოზაშვილი

დანართი №1

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხა

№	სახელმწიფო ნომერი	მარკა, მოდელი	სახეობა	გამოშვების წელი	ტექ. დათვალიერების თარიღი
1	CS963SC	TOYOTA CAMRY	მსუბუქი	2015	20.09.2020წ
2	SS171SW	HYUNDAI SONATA	მსუბუქი	2011	18.09.2020წ
3	XX080NN	TOYOTA PRIUS	მსუბუქი	2011	18.09.2020წ
4	VC050CV	TOYOTA PRIUS	მსუბუქი	2012	19.09.2020წ
5	AF358FA	TOYOTA HILUX	მსუბუქი	2005	26.09.2020წ
6	BY041YB	HONDA CR-V	მსუბუქი	2009	31.10.2020წ
7	YV878VY	HONDA CR-V	მსუბუქი	2009	04.10.2020წ
8	QX041XQ	HONDA CR-V	მსუბუქი	2000	04.09.2020წ
9	CFC-522	HONDA CR-V	მსუბუქი	1998	04.09.2020წ
10	CS 184 SC	RENAULT DUSTER	მსუბუქი	2015	27.08.2020წ
11	CS 186 SC	RENAULT DUSTER	მსუბუქი	2015	24.08.2020წ
12	PP408UU	FORD TRANSIT	ფურგონი	2008	23.01.2020წ